

# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ს ხ დ ო მ ა

2018 წლის 17 სექტემბერი, 10:30 საათი

## დღის წესრიგი

1. 2018 წლის ივლისის მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ანგარიში

მომხსენებელი

➤ საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

2. საერთო სასამართლოების 2019-2022 წლების საბიუჯეტო განაცხადის ფორმები

მომხსენებელი

➤ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა ქარჩავა

3. გადაწყვეტილების პროექტი - „მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე ზოგიერთი კანდიდატის დაშვების შესახებ“

*- პროექტი ითვალისწინებს იმ მოსამართლეობის კანდიდატების II ეტაპზე დაშვების საკითხს, რომელთაც 2018 წლის 3 სექტემბრის №1/241 გადაწყვეტილებით განესაზღვრათ დამატებითი დრო დოკუმენტაციის წარმოდგენისათვის.*

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე

4. გადაწყვეტილების პროექტი - „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

*- პროექტი ითვალისწინებს მოსამართლეობის კანდიდატების თაობაზე ინფორმაციის მოძიების პროცედურების დახვეწას.*

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე

5. გადაწყვეტილების პროექტი - „იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენელთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე

6. გადაწყვეტილების პროექტი - „თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურის, საშტატო ნუსხისა და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 იანვრის №1/61 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

- პროექტი ითვალისწინებს 2018 წლის 30 ივლისს რუსთავის საქალაქო სასამართლოსათვის დამატებული მოსამართლის 1 საშტატო ერთეულისათვის 1 თანამშრომლისა და 1 სხდომის მდივნის საშტატო ერთეულების დამატებას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე

7. საკანონმდებლო ინიციატივა - კანონპროექტი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- პროექტი ითვალისწინებს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტში ცვლილებას და სუბიექტთა წრეში უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის დამატებას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე

8. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სამივლინებო დელეგაციის ანგარიში

- ანგარიში შეეხება 2018 წლის 5-8 სექტემბერს ქ. მოლეთაში (ლიეტუვის რესპუბლიკაში) ჩატარებულ შეხვედრებსა და ღონისძიებებს.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ლევან გზირიშვილი

9. ზოგიერთი მოსამართლისათვის საწვავის ლიმიტის გაზრდის შესახებ

- განიხილება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ციციხო მოსიძის განცხადება.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე